საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 29

სამშაბათი, სექტემბრის 13
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ნიკოლოზის ძე სირაძე, მეუღლე მისი ეფემია გრიგოლის ასული, შვილები მათი—ნუციკო, თამრიკო, და შოთიკო გულისტკივილით აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ სექტემბრის 11 დღის 3 საათზე გარდაიცვალა საყვარელი დედა მისი

**მინადორა შიოს ასული სირაძე**

დაკრძალვა მიცვალებულისა 14 სექტემბერს, ოთხშაბათს, 10 საათზედ ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზედ. (ირმ. ილიოვის ქუჩა № 13).

## ტრიბუნიდან

15.

**ისტორიის სამართალი.**

საქართველოს საკითხი უმთავრესი საკითხი ყოფილა და არის არა მარტო ქართველი ერის წინაპართა, აწპართა და მომპართათვის. საქართველო იყო მუდამ ტიპიური სახელმწიფო საერთაშორისო უფლების სარეცელზე თავის მხედრობით, თავისი მესვეურებით და დიპლომატიით. ჩვენ არ ვიგონებთ აქ არაბების, სპარსელების, ოსმალების, ბერძნების ან სხვა მოძმის დროთ, როცა საქართველო განიცდიდა სხვა და სხვა სახელმწიფოების ერთგვარ ზეგავლენას. ჩვენს წინაშე საქართველოს რთული თანამედროვე მდგომარეობაა გადაშლილი და ისტორია გვავალებს გონების ძალა, ლოღიკის კანონი, ისტორიის ფაქტები და ზნეობრივი ვალდებულებანი შემოვკრიბოთ ერთად და ჩვენს ხალხს ჩვენივე შვილების მეოხებით, ჩვენივე ძალების გაერთიანებით მივუთითოთ იმ გზაზე, საითკენაც ხმლებით, ლოცვებით, ქადაგებებით და ლექსებით ვიდოდენ ჩვენი წინაპარნი განურჩევლად მდგომარეობისა, რწმენისა და სქესისა.

ერთი უმთავრესი იდეა, რომელზედაც გაწოლილია ისტორიული საქართველოს სიცოცხლე უცვლელად ყოფილა და დარჩება სამარადისო იდეად—ეს საქართველოს არსებობის იდეაა. ჩვენი ძველი მეფენი ხშირად გაქცეულან ხოლმე უცხო ძალებისათვის ხან სპარსეთისკენ, ხან ოსმალეთისკენ, ხან რუსეთისკენ, უამრავი პირობა და ქსელი დაგებულა ჩვენი ერის ხელისუფალთა მხრივ თავიანთ კერძო ნებივრობისათვის, მაგრამ ყველგან საქართველოს სიცოცხლე, საქართველოთი არსებობა, საქართველოს აყვავება და წარმატება ყოფილა და დარჩება ყველა მდგომარეობის და წრის ძალების შეგნებულ თუ იდუმალ მრწამსად.

დღესაც ყოველი ქართველი მხოლოდ იმისთვის არის გაჩენილი, იმას ლამობს, ფიქრობს და ოცნებობს რომ, საქართველოს მომავალი სამარადისოდ განამტკიცოს და სრულჰყოს. მიუდგეთ თქვენ ყოველ საკითხს გნებავთ კლასობრივი შემეცნების თვალსაზრისით, გნებავთ ეკიდეთ კანკელი სარწმუნოებრივ რესტავრაციის, გააშუქეთ ყოველივე წმიდა სამების მცნებებით, გონიერების პატრიოტიც აამოქმედეთ—შინაარსი მაინც ერთი იქნება ყველა აზრისათვის, ყოველ მოქმედებისათვის საქართველოს მარადისობა. მილიონი თვალით გაიხედავს საქართველო, მთლიანი აზრი დაიფანტება და დაუპირისპირდება ეროვნულ საკითხს, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს თვალი და აზრი შემოკრებილია საქართველოს სიცოცხლის ირგვლივ და ყველა ერს ემსახურება ნებსით თუ უნებლიეთ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ჩვენში ჩამქრალია ერთიანობის აზრი და მოდუნებულია არსებობის ალღო, არა, ეს ბუნებრივი მდგომარეობაა კულტურული ერისა, ცოცხალი ძალებისა, გამცდელი, კრიტიკული ადამიანებისა. ჩვენ ხშირად ვწიწკნით ერთმანეთს, ჯავრზე ვაკრავთ მოწინააღმდეგეს, ვკარგავთ ელემენტარულ ზრდილობის ძაფებს, გრძნობებს ავყვებით და სასჯელებზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ყველას მაინც ერთმანეთი გვიყვარს, ყველას მაინც ერთი მეორე გვინდა, მიტომ რომ ყველა ჩვენში ერთი დიდი არსება ზის, რომელიც ჩვენი ბატონია, რომელსაც ყველა ვემორჩილებით,—ეს ბატონი საქართველოა გახლავსთ. საქართველო აგვაბრძოლებს ერთმანეთთან და უცხოეთთან, მაგრამ იგივე საქართველო გვაერთებს და გვაერიგებს. ეს არის არა საინტერესო მოთხრობა ჩვენი საზოგადოებრიობისა, ეს უძვირფასესი ნაწარმოებია თვით ქართველი ერის სიცოცხლისა. ბრძოლაშია ჩვენი ბუნება, ჩვენი ისტორია, ჩვენი აწმყო და მომავალი და ქართველ ერს ყოველთვის ის ფალავანი შეუყვარებია სამუდამოდ, სულ ერთია კრწანისის ველის გმირი ყოფილა თუ რომელიმე ისტორიული ზღაპარისა, რომელსაც თავი მოუყრია მებრძოლთა უდაპრიახეს გონებათა და საქართველოს მიმართულებისათვის ისტორიულად შესაფერისი, ბუნებრივი და სწორი გეზი დაუსახავს.

ჩვენ დღესაც ვდგევართ იმ მთავარ ისტორიულ პრობლემის წინ, რომელიც არკვევს ჩვენს დღიურს ცხოვრებას და პოლიტიკას. ეს მთავარი საკითხი ისევ და ისევ ჩვენი ორიენტაციის, საქართველოს მიმართულების და მოქმედების საკითხია.

ყოველ ნაბიჯზე ჩვენ გვაგონებენ ათასგვარ მითქმას და ვაებას საქართველოს ბედზე. ერთი სტირის და გოდებს სიცოცხლეს, მეორე წელში გამაგრებულა, იმედის ძალა მისცემია და ამაყად შესცქერის თავის სამშობლოს ბედს, ზოგს პრაქტიკული და რომანტიული აზრი აღიზიანებს, ზოგი შეუჩვეველად დადის მხოლოდ იმიტომ, რომ რომელიმე დაწესებულებაში ქართული ენა მიუჩქმალავთ, სხვაგან კიდევ თვით ქართველი კაციც მიგდებულა უყურადღებოდ. გუშინ ბევრი იმას ამტკიცებდა, რომ საქართველოს ხალხი იმდენად მძლავრია კულტურულად, რომ იგი გაუძღვება არა მარტო საქართველოს მართველობას, არამედ მთელ კავკასიასაც განაგებს, კიდევ მეტი, ქართველობა დაჩნდება ისეთ ბუმბერაზ სახელმწიფოს, როგორც რუსეთია. და მართლაც, ქართველი ერი აძლევდა რუსეთის იმპერიას, როგორც საუკეთესო გენერლებს ჯარში, მოღვაწეებს მართველობაში, ისე გმირებს რევოლუციისას. არ მომხდარა არც ერთგვარი ცვლილება როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც, სადაც ქართველ კაცის ძალა საპატიოდ არ გამოჩენილიყო. საქართველო თავის სახეს არ მალავს არც ერთი რუსეთის დროს, არც ერთ მოვლენაში. ტრიალებს და იცვლება ჩვენი ცხოვრება, მაგრამ საქართველო მაინც სდგას თავის ალაგას და ყველგან ყველასთან აქლავნებს თავის ბრწყინვალე სახეს. დღეს კი ასეთი მძლავრი საქართველოს ძალები თითქოს საქართველოშიაც გამქრალა, ბევრნი გიქრობენ, თითქოს ჩვენ ისე დავეცით, შევმცირდით, დავქვეითდით, რომ აღარ შეგწევს ძალა გამოვაჩინოთ საქართველოს, თითქოს ჩვენთვის სხვათა ძალების მოშველიება იყოს საჭირო, თითქოს ჩვენი ენა არ ემოეს ხალხის უმრავლესობას და გვექრობოდეს უფრო მეტის პატივით შემოსილი ენის დახმარება და სხვა და სხვა.

— არასოდეს! საქართველო არც მომკვდარა, არც შესუსტებულა. საქართველო პავლე ციციშვილის ლეკვი არ არის ისე გაიღუნოს, როგორც ქარი დაუბერავს, ხოლო ქართველ ერის კულტურა არც ისეთი ბუზბუზელაა, რომ ცეცხლმა კირაკოზიანთ სახლივით გააჩანაგოს.

თანამედროვე ჩვენი წუწუნის უმთავრესი მიზეზი თვით ჩვენა ვართ, ყოველი ქართველი. ნუ დავეძებთ სხვაგან და სხვებში ჩვენი უკმაყოფილობის მიზეზს, ისტორია უჩვენოდ კი არ იქმნება და იწერება, ყოველი ჩვენგანის დუმილი თუ ლაპარაკის სიხშირე ისტორიას, ქმნის ჩვენი ცხოვრების წესებს.

მართალია ერთი რამ. ქართველი ხალხის ძალა ისე არა სჩანს, როგორც უნდა სჩანდეს. ჩვენ უფრო ღონიერი ვართ, ვიდრე ეს ჰგონია რომელიმე ბრეხნიჩოვს, ან ბლეკბერდის, ჩვენ, ქართველებს, შეგვიძლიან არა თუ ვისესხოთ სხვისი ოქრო, სხვისი ენა და კალამი, არამედ გავასესხოთ მრავლად, ჩვენში ეტი პოტენცია, მეტი ენერგია, მეტი სინამდვილე ვიდრე გასესხებული სინამდვილე, მაგრამ ამ ძალების გამომჟღავნება განა დღეს არ არის საჭირო? არ არის არავითარი მოსაზრება იმის გამამართლებელი, რომ ქართველმა ხალხმა დღესვე, ეხლავე მთელი თავისი უნარი არ გამოამჟღავნოს, მთელი თავისი ძალა არ აამოქმედოს. ვინც დღეს სახლში ზის და თავის აზრს მალავს იდუმალის ზრახვებით, ის არა თუ ინდივიდუალური ვიგინდარაა, მოღალატეა ჩვენი სამშობლოსი და ნებსით თუ უნებლიეთ დამანგრეველი საქართველოს არსებობისა. ყოველი ქართველი ინტელიგენტი, ყოველი ქართველი მუშა, ყოველი ჩვენი პიროვნება უნდა ამაღლდეს პარტიულ, წოდებრივ, მდგომარეობის ინტერესებს ზევით და ისტორიული როლი შეასრულოს.

ყველა ჩვენთაგანია დამნაშავე, რომ საქართველოში დღეს ქართველის ხმა ისე მკაფიო და ძლიერი არ არის, როგორც საჭიროა და შეიძლება. ჩვენ ყველამ უნდა ვიმუშაოთ საქართველოსათვის კატეგორიულად და მტკიცედ. ეს არის უპირველესი მოვალეობა ყოველი ქართველისა, და თუ გნებავთ ეს არის ყველა კითხვაზე ადამიანის უნივერსალი ორიენტაცია გარკვეულად ეს საკითხი სავსებით გარკვეულია. მუშაობა ყველას სწადიან, მუშაობას ყველა აღიარებს, საბოტაჟს ყველა უარყოფს, მაგრამ ნუ თუ ვისთვისმე კიდევ საკითხავია, რომ ყველასი მუშაობა მიჩნეულია, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ არსად არ არის მუშაობა. ვმუშაობთ სიტყვით, არ ვმუშაობთ საქმით, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ დაწესებულებაში მეფობს ტიპიური საბოტაჟნიკია, ეს ხდება იმ ბუნებრივი მიზეზის გამო, რომელიც შექმნილია ჩვენში. არ შეიძლება ნამდვილი მუშაობა თუ მთავარ პოლიტიკურ საკითხში სრული ქაოსი და შეურიგებლობაა, არ არსებობს ნაყოფიერი პრაქტიკული შემოქმედება თუ არ არსებობს იდეური თანამშრომლობა. დღეს მნიშვნელობა თაბახ ქაღალდის შევსებას და გადაგზავნას კი არ აქვს, არამედ პოლიტიკურ მუშაობას. ჩვენ პოლიტიკურ ორიენტაციის ხანაში ვიმყოფებით, როცა გარეშე პოლიტიკურ გადაწყვეტილებებისა არავითარი საქმე არ გაკეთდება. ისპანიაში ერთ დროს სიკვდილით კორპორაციები აკეთებდნენ ყველაფერს. რომის პაპის აპყრობილი ხელები ბევრს რომაელს ამოქმედებდა საკუთრების განმავლობაში. ეს ხანა ჩვენთვის არ არსებობს. ჩვენ გვჭირიან შეგნებულ ინდივიდების და გამორკვეულ ჯგუფების პოლიტიკური თანამშრომლობა, პოლიტიკური შემოქმედება, პოლიტიკური საქმიანობა. ვიდრე არ არსებობს საქართველოს პოლიტიკურ ძალების პოლიტიკური თანამშრომლობა, არ იარსებებს არსად ნაყოფიერი სახელმწიფოებრივი მუშაობა, არ გამოჩნდება ჩვენში ის საზოგადოებრივი და ეროვნული ძალა, რომელიც ჩვენს კულტურას და ერს ახასიათებს. მხოლოდ გულუბრყვილოებს ჰგონიათ, რომ დაწესებულებებში მუშაობა ერთია,—პოლიტიკა—სხვა. ეს შეიძლება ასე იყო ნორმალურ პირობებში, ასე არ არის დღეს. პრობლემა პოლიტიკური თვალსაზრისით არის გაშლილი, ყველაფერი უნდა შეფასდეს პოლიტიკურის შეგნებით.

არის ხელებით „მუშაობა", არ არის თავით მუშაობა, არ არის თანხმობა თავებსა და ხელებს შორის. რა არის ამის მიზეზი? ვინ არის დამნაშავე, რომ თავი ცალკეა, ხელი კიდევ ცალკე?

აქაც ჩვენს წინაშე ორიენტაციის საკითხი სდგას და იგი სპობს ამ პოლიტიკურ საკითხს მაგრამ რა კი საქართველოს საკითხი მხოლოდ ერთი რგოლია ისტორიული ჯაჭვისა ჩვენ კიდევ გადავხედოთ ისტორიას, კიდევ მოვიგონოთ ცხოვრების ნამდვილი ეტაპები, კონკრეტულად დავსახოთ ჩვენი ისტორიის და ერის ორიენტაცია და ვსთქვათ—ისტორიის სამართალი საით მიუთითებს ქართველ ხალხს და მის ინტელიგენციას.

თედო ღლონტი.

## ეროვნული ენერგია რევოლუციაში

1.

„ერის არსებობა აქამდე, მხოლოდ ტრაქტატებში იყო აღნიშნული, მაგრამ ერის უფლების განვითარება ეხლა შესამჩნევია. სანამ ნაციონალურ პრინციპს განსაზღვრავდენ, რომელიც გუშინ წარმოიშვა, ის (ერი) უკვე შეარყევს მსოფლიოს. ახალი დოგმატი იმდენად იპყრობს შეგნებას, რომ **საჭიროა აუცილებლად მას ანგარიში გაეწიოს.** (ხაზი ავტორისაა). მას მოჰყავს მოძრაობაში სახელმწიფონი და ერები დასისინაც კი, ვინც უარყოფს მას, გრძნობს, რომ მომავალი ნაციონალ პრინციპს ეკუთვნის" *)

ამრიგად ახასიათებდა კოშუტი ნაციონალ პრინციპის სიძლიერეს ჯერ კიდევ 1866 წ. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს შეხედულება ნაციონალ პრინციპის ძლიერებაზე სავსებით გამართლდა. ეროვნული მომენტი დღეს უმთავრესი ძალაა რევოლუციის. დამონებულ ერთა და დამონებულ კლასთა ინტერესების შეთანხმებამ შექმნა უძლიერესი სტიმული რევოლუციისა, რომელიც დიამეტრალურად უპირისპირდება ევროპის კაპიტალიზმს.

თანამედროვე ურთიერთობას კაპიტალისტურად განვითარებულ და ჩამორჩენილ ერთა შორის საზღვრავს პირველის ბატონობა მეორეზე და მისი ექსპლოატაცია.

„თანამედროვე ომებს აქვს არა დინასტიური და რელიგიური მიზნები, არამედ კომერციული ინტერესი, მიისწრაფვის ახალი ბაზრის მოპოვებისაკენ, რომლითაც შესაძლებელი გახდება საქონლის გასაღება". 1)

„ბაზრის გაფართოვება შესაძლებელ საზღვრამდე არის დამახასიათებელი თვისება თანამედროვე ეკონომიური წყობილების. მაგ. ინგლისის ქარხნის საქმიანობა უფრო ხშირად უშუალოდ არის დამოკიდებული არა ინგლისელ მომხმარებელზე, არამედ აზიის ან აფრიკის რომელიმე ბაზარზე თუ ამ შორეულ კუთხეებში მოხდა რაიმე არა ხელსაყრელი გართულება, რომელიც საგნებზე მოთხოვნილების შემცირებას გამოიწვევს, ამით ინგლისის წარმოება დიდ ზიანს განიცდის" 2).

მეორე ავტორიტეტული მეცნიერი სწერს: „მეტად გაფართოვებული ბაზარი კოლონიალ ხასიათს ღებულობს და ამ დროიდან (მერკანტილიზმის) იწყება იმ სხვილი სავაჭრო კომპანიების არსებობა, რომლებმაც ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულეს მაგ. ინგლისის ოსტ-ინდიის კომპანია და სხვა. დასასრულ მეოთხე ფაზისში, მექანიურ მრეწველობაში და რკინის გზის ხანაში—ბაზარი ჭეშმარიტად მსოფლიო ბაზრად ხდება და ვაჭრობა იმ გრანდიოზულ სახეს ღებულობს, რომელმაც ჩვენი ძველი ევროპის ეკონომიური დამოკიდებულებანი ძირ-ფესვიანად შეცვალა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხიდან ჩვენი დროის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა წამოაყენა".3)

მართლაც ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა დაჩაგრული ერების, კოლონიების საკითხი. კაპიტალისტური მეურნეობას პოლიტიკა ინტერნაციონალ გზით ჩაიშალა და მთელი მსოფლიო დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყო მსოფლიო ომის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ 4 სახელმწიფოს (ინგ., საფ., იაპ., ამერიკა) უპყრიათ, ან გავლენის ქვეშ ჰყავს მილიარდზე მეტი ხალხი, თუმცა თვითონ მეოთხედი ხალხსაც არ წარმოადგენს.

უკვე აშკარაა, რომ მე 20 საუკ. ქვეყნების დაყოფა თითქმის დასრულებულია.

საინტერესოა ის, თუ როგორი მდგომარეობაა ეხლა კოლონიებში და როგორია ურთიერთობა მეტროპოლიასთან. ამისათვის საჭიროა სქემატიურად მაინც თვალი გადავავლოთ ინგლისის კოლონიებს, რადგან დღეს კოლონიების დიდი უმრავლესობა ინგლისის ხელშია. ჩვენ ვერ შევჩერდებით იმ საშუალებებზედ, თუ რა გზით შედიოდა ინგლისი კოლონიებში, ვერც იმ პოლიტიკაზე, რომელსაც კოლონიებში ის აწარმოებდა, აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრეს მომენტებს.

**ინგლისი ამერიკაში.** ამერიკის რევოლუციის მიზეზები ინგლისის პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. ინგლისმა გადასახადები დააწერა ამერიკის მცხოვრებთ და მან 1699 წ. აქტით აკრძალა ამერიკის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან. ამ ნიადაგზე აღმოცენდა დიდი კონფლიქტი, რომელსაც მოყვა პირველი შეტაკება 1775 წ., ხოლო მეორე წელს გამოცხადებულ იქნა ამერიკის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია".

**ინგლისი კანადაში.** 1763 წ. ინგლისმა კანადაში დაამარცხა საფრანგეთი და კანადა ინგლისის ხელში გადავიდა. ინგლისმა კოლონიზაციასთან ერთად კანადაში ანგლიზაციაც მოინდომა, ამიტომს ანგლოფილი [illegible]. კანადაში ინგლისის გუბერნატორი ინიშნებოდა და ინგლისური ადმინისტრაცია. 1833 წ. კანადამ უარი განაცხადა ადმინისტრაციის შენახვაზე ხარჯის გაღებაზე. მეორე წელს 92 რეზოლუცია გაეგზავნა ინგლისის პარლამენტს, რომელსაც ხელს აწერდა 90,000 მოქალაქე და რომლითაც ემუქრებოდა ინგლისს. ამავე დროს კანადაში იმართებოდა საპროტესტო დემონსტრაციები. 1837 წ. კანადაში აჯანყება დაიწყო, მაგრამ ის ჩააქრეს და ს მხედრო წესები გამოაცხადეს *) დედოფალ ვიქტორიის ტახტზე ასვლის დროს კანადამ მიიღო თვითმართველობის უფლება. (1840 წ.) 1849 წ. ინგლისი იძულებული გახდა მოეხსნა ნავიგაციური აქტი, რომელმაც დიდად ხელი შეუწყო საგარეო ვაჭრობის განვითარებას. 1867 წ. ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანადის ფედერაცია. ფედერაციის სათავეში სდგას ინგლისის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი, ხოლო პროვინციებში აღმასრულებელ ძალას განაგებს ვიცე-გუბერნატორი, რომელიც გენერალ-გუბერნატორისაგან ინიშნება.

**ინგლისი ვესტ-ინდიაში.** ინგლისის პოლიტიკის დამახასიათებლად ვესტ-ინდიაში საკმაო მოვიგონოთ ზანგებით ვაჭრობა, რომელიც უმთავრესად ინგლისელების ხელში იყო.

**ინგლისი ავსტრალიაში.** ინგლისის ერთი მიზანთაგანი ავსტრალიისაკენ სწრაფვისა ისიც იყო, რომ მას საშუალება მიეცემოდა დასჯილების გადაგზავნისა, რომლებსაც წინად ამერიკაში აგზავნიდა. ავსტრალია 1769—10 წ—ში აღმოაჩინა კუკმა. პირველი ნაწილი დამნაშავე დასახლებულთა გაიგზავნა ახალ სამ. უელსში. ინგლისი ავსტრალიაში ყოველ

*) დანევსკის შრომიდან: „Системы политическаго равновесія и начало національности" стр. 238.

¹) Железновъ: „Очерки полит. экономіи" стр. 39.

2) ibidem.

3) პროფ. ჯიდი: „პოლიტ. ეკონომიის საფუძვლები" ქართული თარგმანის 152. გვ.

*) ცნობები იხ. Можуевъ: „Исторія колоніальной имперіи и колоніальной политики Англіи".

წლიურად 2,000 კაცამდე გადასახლებულს გზავნიდა. დიდი ბრძოლის შემდეგ ავსტრალიამ ფედერაცია მოიპოვა, რაც ინგლისმა დაამტკიცა 1900 წ. ფედერაციას სათავეში უდგას გენერალ-გუბერნატორი, რომელიც ასრულებს კონსტიტუციური მეფის როლს.

**ინგლისი სამხ. აფრიკაში.** ნაპოლეონის ომის შემდეგ ინგლისმა საბოლოოდ დაიკავა კაპ-ის კოლონია და იძულებული გახადა ჰოლანდია აფრიკას კოლონიებზე ეღო ხელი, რისთვისაც ინგლისისაგან მიიღო 60,000,000 მ. 1837 წ. ინგლისმა სახელმწიფო ენად გამოაცხადა ინგლისური, ხოლო 1843 წ. ინგლისმა გადასახლებულთა გემი მიაყენა აფრიკის სანაპიროებს, მაგრამ კოლონია იარაღით ხელში შეეგება გემს და იძულებული გახადა მისი უკან გაბრუნება. ერთობ ვითარებაში აფრიკამაც მიიღო მცირეოდენი წყალობა ინგლისისაგან და წარმომადგენლობის უფლება მიენიჭა ხალხს, მაგრამ აღმასრულებელი ძალა ინგლისის ხელშივე დარჩა, რომელსაც უძღვება ინგლისის გუბერნატორი, რომელიც Veto-ს უფლებითაც არის აღჭურვილი.

კაპიტალიზმა აფრიკაში შეიტანა არაყი და თოფის წამალი, ნაცვლად წამოიღო [illegible]. ალკოჰოლმა და თოფმა ძირიანად შეარყია ველურის ცხოვრება, გამოიწვია ათასგვარი უბედურება. უკვე შეიარაღებულმა ტომებმა სრულიად გაანადგურეს ასეთი ტომები, რომლებსაც ჯერ კიდევ იარაღი არ შეეძინა.

კოლონიაში გაგზავნილი შავზე სწერს: ჩინოვნიკებისათვის ბედნიერი იყო დრო, როდესაც ისინი მეჯოგეობას მისდევდნენ. მონობის ვაჭრობაში ინგლისელებს ეკუთვნოდათ პირველობა და ვინ მოთვლის რა საშინელი საქციელი არ იყო ჩადენილი ამ „კულტურისანი" ხალხის მიერ აფრიკაში.

**ინგლისი ეგვიპტეში.** სუეცის არხის გაყვანის შემდეგ ეგვიპტეს დიდი მნიშვნელობა მიეცა, როგორც გზას ინდოეთისაკენ. 1882 წ. ინგლისი შეესია ეგვიპტეს და დაიპყრო, მაგრამ თან განაცხადა, იგი არ ჩაერევა შინაურ საქმეებში. მართლაც, ფორმალურად ეგვიპტეს განაგებდა სულთანის მიერ დანიშნული მინისტრები, მაგრამ ფაქტიური მართველნი იყვნენ ეგ. წოდ. „ფინანსიური მრჩევლები", რომელნიც ინიშნებოდნენ ინგლისის მიერ და რომელთა კომპეტენცია ფრიად ფართო იყო.

**ხერ. ამალდობელი.**

## იმპერიალისტური ჰუმანიზმი და ახალი პოლიტიკური კომბინაციები

იმპერიალისტური სახელმწიფონი უაღრესად „კულტურის" წარმომადგენლად სთვლიან თავის თავს და დიდი ჰუმანიური გრძნობებით ამაყობენ.

მუშათა კლასს არასოდეს არ სჯეროდა იმპერიალისტთა ჰუმანიური ემოციები და ამ რწმენის აშკარა გამართლებაა დღეს ევროპის საქმიანობა რუსეთის დამშეულთა დახმარების საკითხში. ვიცით, რომ ანტანტის სახელმწიფოებმა საერთაშორისო კომისია შექმნა რუსეთის დახმარებისათვის, რომელსაც თავმჯდომარეობს მეტად ცნობილი „მოღვაწე" ნულანსი, ცნობილი, როგორც შეურიგებელი მტერი და მოწინააღმდეგე საბჭოთა რუსეთისა, როგორც აქტიური მომქმედი და ხელმძღვანელი რეაქციონურ ელემენტებისა.

ვიცით აგრეთვე, რომ ევროპის მუშათა კლასმა გადასწყვიტა დახმარების აღმოჩენა, ვიცით ისიც, რომ ამერიკა და შვეიცარია უკვე შეუდგა დახმარების გადმოგზავნას რუსეთში და ამავე დროს ნულანის კომისიას სურვილი აღძვრია გამოარკვიოს რუსეთის „მდგომარეობა", დაანიშნოს „კონტროლი" და შემდეგ შეუდგეს დახმარებას.

ამის შემდეგ რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა შესაფერი ნოტა გაუგზავნა ანტანტას, რომელშიაც არის აღნიშნული ის გაიძვერული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ანტანტა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ჩიჩერინი თავის ნოტაში ახასიათებს ნულანს, როგორც ცნობილ ავანტიურისტს, რუსეთის წინააღმდეგ ინტრიგების ავტორს და მოსისხლე მტერს. ნოტის ხასიათი და ფაქტიური ცნობები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანტანტის „ახალი პოლიტიკა" ისევ [illegible] ძალების პოლიტიკაა, რომელსაც ანტანტა ამოძრავებდა, [illegible] ჩვენ ვფიქრობთ, — რომ ევროპის და ამერიკის მუშათა კლასის დახმარება ერთი მხრივ და რუსეთის მასის თავგანწირული სიმტკიცე და ძლიერი ნებისყოფა მეორე მხრით სრულ გარანტიას იძლევა რუსეთის დამშეულთა უზრუნველსაყოფად.

„იმპერიალისტური ჰუმანიზმი", და მათი „კულტურული" საქმენი ერისა და მშრომელი კლასის ჩაგვრაზეა აგებული და ბუნებრივია მისი არ დახმარება იმ ძალისადმი, რომლის მიზანია ეროვნულ-კლასობრივი თავისუფლება. მაგრამ ევროპისათვის ერთი შესაძლებლობა არსებობდა რუსეთის დახმარების საკითხში.

თუ ევროპის სახელმწიფონი ხელს აიღებდნენ რუსეთის მიმართ „შეტევითი პოლიტიკის" წარმოებაზე და მოისურვებდნენ დროებით მაინც ნორმალური მდგომარეობის დამყარებას, მაშინ ისინი გაიღებდნენ დახმარებასაც, რადგანაც რუსეთის იზოლაცია კაპიტალისტური მეურნეობისათვის დიდი ზარალია, ხოლო მასთან ურთიერთობა სასარგებლოა თვით კაპიტალისტებისათვისაც. მაგრამ როგორც სჩანს, ევროპა დღესაც ისეთ პოლიტიკას აწარმოებს საბჭოთა რუსეთის მიმართ, როგორსაც ის აწარმოებდა ამ სამი წლის განმავლობაში. ევროპა დღესაც ახალი ინტრიგებისათვის ემზადება და ბრიანის წინადადება უმაღლეს საბჭოში დახმარების გაერთიანებისათვის მსოფლიო მაშტაბით, არსებითად სულ სხვა „გაერთიანებას" გულისხმობს. საფრანგეთი ერთი მხრივ წინადადებას იძლევა ასეთი დახმარების გაერთიანებისათვის, ხოლო მეორე მხრით რუმინეთ-პოლონეთში აგზავნის ამუნიციას, აიარაღებს და საომრად ემზადება.

ლოიდ ჯორჯი დღეს აღარ პირველობს ევროპის პოლიტიკაში, ჯერ ბრიანზე მიდგა, რომელსაც დიდი გეგმები აქვს და ეძებს დიდსა და პატარა მოკავშირეს რუსეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთი ჟენევის კონფერენციაზე დელეგატს აღარ აგზავნის, სადაც გასარჩევია რუსეთის დახმარების საკითხი. ცხადია ამ შემთხვევაშიაც პარიზის კაბინეტს განსაკუთრებული მიზანი ექნება.

ამავე დროს ამერიკა კვლავ გამოდის მომარიგებელის როლში და ვაშინგტონის მომავალ კონფერენციაზე ცდილობს აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრას. ამავე კონფერენციისათვის რაღაც პროექტი აქვს საფრანგეთსაც.

ვაშინგტონის კონფერენციაზე კიდევ ერთხელ თავს მოიყრის კაპიტალისტური სამყაროს პოლიტიკოსნი და ერთხელ კიდევ შეეცდებიან გამოსავალი გზის პოვნას გამოუვალი მდგომარეობიდან, რომელიც დღეს არის შექმნილი ანტანტის სახელმწიფოთა ცხოვრებაში. მაგრამ ასეთი გზის მონახვა არც ისე ადვილია. გაძლიერებული ამერიკის ინტერესები ეწინააღმდეგება, როგორც ინგლისის, ისე იაპონიის ინტერესებს. საფრანგეთსა და ინგლისს შორის შავმა კატამ გაირბინა და დღეს ინგლისი იძულებულია ძველი „მეგობრის" წინააღმდეგ მოკავშირენი ეძებოს. თვით ინგლისის საშინაო მდგომარეობა აწეწილია. ავსტრალიისა და კანადის პოლიტიკა, მათი ორიენტაცია შეერ. შტატებისაკენ იხრება და იაპონიას უპირისპირდება, ხოლო ინგლისი კი იაპონიის მეგობრობას ლამობს შეერ. შტატების წინააღმდეგ. ისე, რომ დღეს დიდი ბრიტანეთი ვერ არის გარკვეული მიზნების მატარებელი და შიგნიდან უტყდება ციხე. ამას ერთვის სხვა და სხვა წინააღმდეგობანი კიდევ და შეიძლება ვსთქვათ, რომ გამოსავალი გზა მშვიდობიანად არ შეიძლება მონახულ იქნეს, თუ რაიმე დიდი ცვლილებები არ მოხდა ახლო მომავალში, რომელიც მოახდენს ძალთა სხვაგვარ გადაჯგუფებას.

უფრო მოსალოდნელია ბრიანის ინტერესებით დაიწყოს ომი, მსოფლიოს ძალების მონაწილეობით გაფართოვდეს იგი და რევოლუციით დამთავრდეს.

სხვა გამოსავალის პოვნა მეტად საეჭვოა. ამ საერთო ორომტრიალში და გზების ძებნაში „კაპიტალისტური ჰუმანიზმი" ერთ-ერთი ფაქტია, რომლის საფუძველი ღრმად არის ჩამარხული მსოფლიოს სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში და რომელიც ახალი იმპერიალისტური სასაკლაოს გაჩენის სიგნალი [illegible]. მაგრამ ეს რიგი იმედის მომცემნიც არ უნდა ჩაითვალოს, ევროპის ხსნა გარეშე რევოლუციისა შეუძლებელია. ამას გრძნობს იმპერიალისტური სამყარო და მისთვის არის იგი შეშფოთებული, მაგრამ კონფერენციები მას ვერ უშველის. ყოველივეს ახლო მომავალი გვიჩვენებს.

**ხ.**

## ახალი ამბები

— **წყალსადენი ავჭალის რაიონში.** წყალსადენის შეკეთების შემდეგ ავჭალის რაიონში წყალსადენი ჩვეულებრივად მუშაობს.

— **მომარაგების განყოფილებიდან.** აგვისტოს თვის საპონი გაცემულია წევრებზე. ფეხსაცმელების და ტანსაცმელის მოთხოვნილება შემოვიდა 83, დაკმაყოფილდა 25, რომელნიც მეტად საჭიროებენ დახმარებას.

— **შრომის დამცველი კომისიები.** 1 მაისიდან მუშაობენ შრომის დამცველი კომისიები.

— **საკონფლიქტო განყოფილება.** საკონფლიქტო განყოფილებამ გაარჩია 10 საქმე. გამოძიება მუშათა სასარგებლოდ დასრულდა.

— **საღამო ახალ-სენაკში.** 1 სექტ. ახალ-სენაკში გაიმართა საღამო რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად. კულტურ-განმანათლებელი მუშაობა გაცხოველებულია მთელ რაიონში.

— **ამერიკული კომიტეტის სასადილოები.** ახლო მომავალში ამერიკული კომიტეტი გააფართოვებს თავის სასადილოებს. ამერიკულ კომიტეტის სასადილოებში ამ ხანად სადილობს 6.000 სული, მათ შორის 1390 მოზრდილი, ხოლო დანარჩენი ბავშვები.

— **კახეთის რკინის გზის შეკეთება.** უკვე შეუდგენ კახეთის რკინის გზის შეკეთებას.

— **ცეცხლის მქრობელთა ინსტრუქტორების კურსები.** 7 სექტემბრიდან დაიწყო პრაქტიკული მეცადინეობა ცეცხლის-მქრობელთა ინსტრუქტორების კურსებზე.

— **გადასახლებულთა ბინების ალება.** ტფილისიდან გადასახლებულთა ბინების ალებისათვის შინაგან საქმეთა კომისარიატი იმუშავებს განსაკუთრებულ პროექტს. აღებული ბინები გადაირიცხება მუშათა ბინების გასაუმჯობესებელ ფონდში.

— ყოფილ ქართული კლუბის კოოპერატივში სასახლის ქუჩა № 5 მიღებულია კახური ღვინო. ბოთლი 8,000 მანეთი.

— **კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ახალი ოპერა.** კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა აბასთუმნიდან, დაუმთავრებია ოპერა „ორი მიჯნური"-ს მეორე მოქმედება. ოპერა იქნება სამ მოქმედებიანი სოფლის ცხოვრებიდან, აღებულია ღამის თევა.

## რუსეთი

**მოსკოვი.** 4 სექ. დამშეული მხარეებიდან მოსკოვში ჩამოდიან დამშეულნი გამხდარი ცხენებით და მოსკოვის ქუჩებზე მათხოვრობას ეწევიან. საჭიროა ზომების მიღება, რომ ლტოლვილნი გამოვიყვანოთ უმწეო მდგომარეობიდან.

**მინსკი.** 2 სექ. ვარშავიდან ჩამოვიდა ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი და ავსტრალიის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი მარგარიტა ტენი. მან გვაცნობა, რომ ავსტრალიის მუშები ემზადებიან დიდი დახმარების გადმოგზავნას.

**ხარმსი.** 1 სექ. ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ რუსეთის დამშეულთა დახმარება უნდა მოეწყოს არა ადგილობრივი ორგანიზაციების საფუძველზე, არამედ საერთაშორისო დახმარების საფუძველზე. ლოიდ ჯორჯმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ გერმანეთი, როგორც ახლო მეზობელი რუსეთისა მეტად დაინტერესებულია რუსეთის კეთილდღეობით.

**ხარმსი** აგვ 26. ლონდონის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ რუსეთის დამშეულთა დამხმარე საერთაშორისო კომისიამ უნდა მიიღოს დაუყოვნებლივ ზომები, რომ მოახდინოს საერთაშორისო დახმარებათა კოორდინაცია და თავი მოუყაროს ყველა ორგანოებს, რომელნიც დახმარებისათვის ზრუნავენ.

## უცხოეთი

**ლონდონი.** 1 სექ. გაზეთი „ობსერვერი" 21 აგვ. სწერდა, რომ ის დახმარებანი, რომელნიც მიდის რუსეთში დამშეულთა დასახმარებლად, მიიყვანს ევროპის სახელმწიფოებს საბჭოთა რუსეთის სრულ ცნობამდე. დადგა დრო, როდესაც მსოფლიომ თავი უნდა გაანებოს რუსეთის იზოლაციაში დატოვებას. არც რუსეთს შეუძლია მის გარეშე მდებარე სახელმწიფოთა გარეშე ცხოვრება და არც თვითონ ამ სახელმწიფოებს შეუძლია ცხოვრება რუსეთის გარეშე.

## უკანასკნელი ცნობები

**საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.**

(საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილებიდან).

ოსმალეთის დიდი ნაციონალური ყრილობის წარმომადგენელი საქართველოში საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ამხ. მდივანს ოფიციალურად აუწყებს შემდეგს: დღევანდელ მიღებულ ცნობებით მარჯვენა ფრთაზე მდინ. საკირის რაიონში ჩვენი გმირების კონტრ-შეტევას შედეგად მოჰყვა მტრის ორი პოლკის უწესრიგოდ დახევა. ხოლო ჩაგვივარდა ბევრი ტყვეები და სამხედრო მასალა.

გამორკვეულია, რომ მოწინააღმდეგემ დასტოვა ბრძოლაში 500 მოკლული. მარჯვენა ფრთაზე ჩვენმა გმირებმა ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის შემდეგ მიაღწიეს მტრის სანგრებს.

ბერძნების სანგრების სამი ხაზი სულ გადავსებულია ინგლისური ხელით სასროლი ყუმბარებით. ხსენებულ სანგრებში აღმოჩნდა 200 მოკლული. მტერს დაუტოვებიეს მსუბუქი და მძიმე ტყვიისმფრქვეველები, აუარებელი ხელით სასროლი გრანატები, თოფები და სხვა მრავალი ნადავლი, რომლის აღრიცხვა ხდება.

ჩვენების შეტევა სხვა ფრონტზე გრძელდება. ჩვენი მფრინავების უკანასკნელი ცნობით მტრის სხვა და სხვა კოლონები უწესრიგოდ იხევენ.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

ხუთშაბათს 15 სექტემბერს, პარტიის ცენტრალ ბიუროში დანიშნულია კრება საქ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტიის ბეჭდვითი საქმის მუშა წევრებისა და მათი თანამგრძნობლებისა. გასარჩევია საწრაფო საკითხები. ამხანაგებს ევალებათ დაესწრონ კრებას უკლებლივ. კრება დაიწყება საღამოს 6 საათზე.

## ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

თანახმად დრ. მთავარ კომიტეტის დადგენილებისა სულ მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს პარტიული ყრილობა. ამიტომ ცხადდება პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დელეგატების გამოგზავნის უფლება აქვს მხოლოდ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოახდინეს ხელახალი რეგისტრაცია და ა. წ. ენკენისთვის 15-მდე საგანგებო საორგანიზაციო სამეულს მოაწვდიან წერილობით შემდეგ ცნობებს: 1) როდის დასრულდა ხელ-ახალი რეგისტრაცია; 2) ძველი ორგანიზაციაა თუ ახალი; 3) რამდენი წევრი ჰყავს; 4) კომიტეტის შემადგენლობა.

**საგანგებო საორგანიზაციო სამეული.**

**მისამართი რედაქციის.**

## მუშათა ცხოვრება

**პრემიალური სისტემა.**

დღევანდელი მუშის ძირითადი შრომის ღირებულება (ჯამაგირის სახით) განისაზღვრება 31 ათასი მანეთით. ამ ჯამაგირიდან მუშამ უნდა გადაიხადოს კავშირის საწევრო, ამას გარდა მოსალოდნელი სხვა და სხვა სახის ბეგარა-შეწირულება, რომელსაც მუშას ნებსით თუ უნებლიეთ დააკისრებენ; უნდა იყიდოს თუთუნი, ვინაიდან სახელმწიფოთი მიღებული პაპიროსები მას ჰყოფნის მხოლოდ 10 დღეს. უნდა გამოკვებოს თავისი თავი და ცოლშვილი; აუცილებლად უნდა იყიდოს მან პური და შაქარი, ვინაიდან მუშათა მაგიდიდან მიღებული 1 გირ. პური მუშის, მის ცოლს და შვილს, არა ჰყოფნის; უნდა დააკმაყოფილოს სხვა და სხვა [illegible] მოთხოვნილებანი [illegible] მუშის თვიური-ჯამაგირი [illegible] ნახევარი [illegible] ერთი დღის საგზალია. ამის შემდეგ კითხვა იბადება: როგორ, ან რითი უნდა იცხოვროს მუშამ თავისი ცოლით და შვილით მთელი თვის განმავლობაში? აქ საქმე გვაქვს ჩვენ პრემიასთან. ყველას მოეხსენებათ, რომ ამ ჟამად ქარხნებში შემოღებულია პრემიალური სისტემით მუშაობა, რომლის საშუალებით მუშის შრომის ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება 5 დან 8 ათას მან. იშვიათ შემთხვევაში 10 ათას მანეთით. ასე, რომ მუშა პრემიით და ძირითადი ჯამაგირით თვიურად ღებულობს 300,000 დან 400 000 მდე, იშვიათ შემთხვევაში 500,000 მანეთამდე.

დღევანდელ პირობებში ვინც მარტო თავის დღიურ შრომაზე დაყრდნობილი და სხვა და სხვა საშუალებებით არ გადის ფონს, როგორც მაგალითად სახლში მუშაობა, სპეკულიაცია, კომბინაციები, ავეჯის და ტანისამოსის გაყიდვა, ნაცნობებში სესხის მიღება და სხვა, ვგონებთ ყველამ იცის დღევანდელ ბაზარზე იმ ციფრების ღირებულება, რომელიც ჩვენ ზევით მოვიყვანეთ. მაგრამ ასეა თუ ისე, ავათ თუ კარგად მშრომელი მუშა დღევანდელ რთულ პირობებში ერთგვარ „იოლიზაციით" როგორც არის სცხოვრობს და იცხოვრებს კიდეც რომ მას მართველობა ხელს არ უშლიდეს და არ აბრკოლებდეს. ხელის შეშლა ის არის, რომ მუშა გაკეთებულ პრემიას დროზე ვერა ღებულობს და ეს მაშინ, როდესაც ბაზარზე საქონლის ფასი საათობით და წუთობით ხან აიწევს, ხან დაიწევს. ამ ორი კვირის განმავლობაში მაგალითად ხორბლისა და საზარინის ფასმა საგრძნობლად დაიწია, მაგრამ რა ჰქნას ასეთ შემთხვევაში გატანჯულმა მუშამ, რომ მას ჯიბეში ერთი მანეთიც არ უძევს და მისადები ფული პრემიისა თუ სხვა სახით ხაზინაში აწყვია? უეჭველად უნდა მიექცეს ყურადღება ამ გარემოებას მართველობის მიერ და მოგვარდეს საქმე ისე, რომ მუშა ყოველ თვე სისტემატიურად ღებულობდეს შრომის ღირებულების ხელფას და ყოველ შემთხვევაში არ იყოს შემყურე იმისა, რომ როდის დადგება ის ბედნიერი იანვრის თვე, რომ ეღირსოს და მიიღოს დეკემბერში გაკეთებული პრემია.

ასოთ-ამწყობი მუშა დათიკო.

**პარიკმახერები და მუშები.**

უკვე რამდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა პროფკავშირთა საბჭომ საპარიკმახეროების კავშირთა წარმომადგენლებთან ერთად და მათთან შეთანხმებით გამოიმუშავეს ერთგვარი ნორმა და შესაფერი ინსტრუქციებიც დაუგზავნეს ყველა პარიკმახერებს, რომლის თანახმად მოვალენი არიან დააკმაყოფილონ მუშები. ნორმა დაახლოვებით ასეთია: მუშები იხდიან: გაპარსვაში —100 მან. გაკრეჭა და გაპარსვა—200 მან. მაგრამ როგორც ყოველთვის, ახლაც სამწუხაროდ ეს დადგენილება ვერა ტარდება ცხოვრებაში მუშები თაკილობენ 100 მანეთის გადახდას, ტრადიციას ემყარებიან და 100—200 მან. მაგიერ 2—3 და ხშირად 4—5 ათას მანეთსაც აძლევენ. ბატონი პარიკმახერები ამით რასაკვირველია თამამდებიან და ვერა ნახავთ ისეთ მუშას, რომელიც დაკმაყოფილების შემდეგ საპარიკმახეროდან გამოვიდეს ისე, რომ პარიკმახერის გულისწყრომას გადაურჩეს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ასეთ გაუგებრობას ბოლო მოეღოს.—ან უნდა მოისპოს ეს დადგენილება სავსებით, ანდა დარჩეს ძალაში იმ პირობით, რომ დადგენილებას დაემორჩილნენ სისასტიკით როგორც ბატონი პარიკმახერები, აგრეთვე ჩვენი მუშა-ამხანაგები.

მუშა პროფიქტი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამთავრ. და გამგე)
**ამზადებს** საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი საზაფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიისა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა და ჩაწერა 7—8 ს. 3—6. 1284